არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის
„ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაცია“
წ ე ს დ ე ბ ა
ვერსია 1.0

მუხლი 1. ზოგადი დებულება, ფედერაციის სტატუსი და სახელწოდება

1. „ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაცია“ (შემდგომში „ფედერაცია“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელის საქმიანობაც რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2. ფედერაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს ბეჭედი, ბლანკი, ანგარიში საქართველოს საბანკო დაწესებულებებში და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

3. ფედერაციის ოფიციალური სრული სახელწოდებაა ქართულ ენაზე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაცია“, ინგლისურ ენაზე - Non-entrepreneurial Non-commercial Legal Entity “Georgian Climbing National Federation”. ფედერაციის აბრევიატურა ქართულ ენაზე: ა(ა)იპ „ქცეფ“, ინგლისურ ენაზე: NNLE “GCNF”.

4. ფედერაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე იქმნება განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

5. ფედერაცია უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები, განყოფილებები ან წარმომადგენლობები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ისე მის ფარგლებს გარეთ. ასევე ფედერაციას შეუძლია დააფუძნოს სხვა იურიდიული პირები კანონით დადგენილი წესების დაცვით.

6. ფედერაცია თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს განკერძოებულ ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს, ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადოს გარიგებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი, დადოს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.

7. ფედერაციას შეუძლია (უფლებამოსილია) გაწევრიანდეს ნებისმიერი სახის არასამეწარმეო ან საერთაშორისო ორგანიზაციაში.

8. ფედერაცია უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას საკუთარი წევრების კანონიერი და ფედერაციასთან დაკავშირებული ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

9. ფედერაცია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სხვა ეროვნულ და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებისგან.

10. ფედერაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 2. ფედერაციის მიზანი და ამოცანები

1. ფედერაციის ამოცანებია:

1) საქართველოში მეკლდეურობის და სპორტული ცოცვის საერთაშორისო სტანდარტების და პრინციპების დანერგვა.

2) საქართველოში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობა, სპორტული ცოცვის პოპულარიზაციის, ინფრასტრუქტურული პროექტების და შემსწავლელი პროგრამების განხორციელების მიზნით;

3) საქართველოში სპორტული ცოცვის ინფრასტრუქტურის სტანდარტიზება და მათი ხარისხის კონტროლი;

4) საქართველოში, როგორც ინფრასტრუქტურული ასევე საშეჯიბროდ კონკურენტული გარემოს შექმნა;

5) ფედერაცია აღიარებს საერთაშორისო სპორტული ცოცვის ფედერაციის (IFSC) წესდებას, პრინციპებს, დებულებებს, კალენდარს, მიზნებსა და ამოცანებს;

6) მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან (სეოკ), სპორტული ცოცვის საერთაშორისო ფედერაციასთან (ISFC), მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთან (WADA), მეკლდეურობის და სპორტულ ცოცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

7) საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მათ ფედერაციებთან, მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა რეგიონალური და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მიღება და გაცვლითი პროგრამების შემუშავება;

8) კერძო, საჯარო და სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ ბაღებთან, სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა საგანმანათლებო დაწესებულებებთან მჭიდრო კომუნიკაცია სპორტული ცოცვის ინფრასტრუქტურის განვითარების და შემსწავლელი პროგრამების შემუშავების მიზნით;

9) საქართველოში მეკლდეურობაში და სპორტულ ცოცვაში ეროვნული და საერთაშორისო ჩეპიონატების/ტურნირების/შეჯიბრების ჩატარება;

10) მსაჯების გადამზადების პროგრამების შემუშავება და სტანდარტიზაცია;

11) სპორტული ცოცვის ინფრასტრუქტურული პროექტების კონტროლი და ზედამხედველობა;

12) ფედერაციის ელექტრონულ რეესტრში წარმატებული სპორტული ცოცვის ინფრასტრუქტურის მომწყობი/შემქმნელი კომპანიების რეგისტრაცია და შესაბამისი ლიცენზიის გაცემა;

13) ბილიკების ამწყობების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

14) საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი წესებისა და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი რეგულაციების ქართულ ენაზე გამოცემა და მათი სრულყოფა.

2. ფედერაცია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სპორტული ცოცვის პოპულარიზაციის, გავრცელების, განვითარების, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, კარიერული წინსვლისა და მაღალი სპორტული წარმატებების მიღწევის მიზნით.

მუხლი 3. ფედერაციის წევრად მიღების და წევრობის შეწყვეტის წესი და პირობები, წევრის უფლება-მოვალეობები და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. ფედერაციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც აღიარებს ფედერაციის წესდებას და მზად არის მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის საქმიანობაში.

2. პირი ფედერაციაში წევრიანდება მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც ფედერაციის ყრილობის და გამგეობის არანაკლებ ერთი წევრის რეკომენდაციის თანხლებით ჩაბარდება ფედერაციის სამდივნოს.

3. ფედერაციის წევრი შეიძლება იყოს სპორტულ ცოცვასთან თავისი საქმიანობით დაკავშირებული (არანაკლებ 2 წლისა) შემდეგი სუბიექტი:

3.1. ფიზიკური პირი;

3.2. იურიდიული პირი, კერძოდ:

3.2.1. სპორტული კლუბი/იურიდიული პირის სტატუსის მქონე სპორტული გუნდი;

3.2.2. რეგიონული ფედერაცია, რომელიც დაფუძნებულია ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად და ფედერაციაში გაწევრიანდა ამ მუხლით დადგენილი წესით;

3.2.3. სპორტულ ცოცვასთან დაკავშირებული ორგანიზაცია (მაგ.: ფედერაციაში შემავალი ცალკეული სახეობების ასოციაცია, სპორტის სახეობასთან დაკავშირებული პირების (სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები) კავშირი, სპორტულ ცოცვაში მომუშავე ორგანიზაცია/გაერთიანება, მათ შორის, მუნიციპალიტეტის სპორტის მიმართულების ა(ა)იპ, რომელიც ფუნქციონირებს სპორტული ცოცვის მიმართულებით).

4. ფედერაციის მიერ დაფუძნებული ფილიალი, რეგიონული ფედერაცია ან სხვა ორგანიზაციული დანაყოფი ფედერაციის წევრი არ არის.

5. ფედერაცია შედგება ხმის უფლების მქონე და ხმის უფლების არმქონე წევრებისგან;

6. იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ფედერაციის წევრად იღებს პრეზიდიუმი

7. ფედერაციაში გაწევრიანებაზე განაცხადს განიხილავს პრეზიდიუმი (არაუგვიანეს 30 დღისა) და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

8. განმცხადებელი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ფედერაციის გამგეობის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს და სტანდარტებს. სხვა შემთხვევაში განაცხადი არ დაექვემდებარება განხილვას.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, პრეზიდიუმის მიერ პასუხის გაუცემლობა, ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად.

10. ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარი საჩივრდება სასამართლოში.

11. დაუშვებელია ფედერაციაში ახალი წევრების მიღება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვამდე 6 თვის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, პრეზიდიუმის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოცემული 6 თვის განმავლობაში ფედერაციაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს ახალი წევრი იმ დათქმით, რომ ახალ წევრს ხმის მიცემის უფლება არ ექნება ფედერაციის პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებზე.

12. პრეზიდიუმმა უნდა აწარმოოს ფედერაციის წევრთა ელექტრონული რეესტრი, რომელიც განთავსდება ფედერაციის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება საჯაროდ.

13. წევრობიდან გასვლა თავისუფალია. წევრობიდან გასვლის თაობაზე წევრი წერილობითი განცხადებით მიმართავს ფედერაციის სამდივნოს. ფედერაციიდან გასვლა ასევე შესაძლებელია საჯარო განცხადებით. პირი ფედერაციიდან გასულად ჩაითვლება წერილობით განცხადების ჩაბარების ან საჯარო განცხადების გაკეთების მომენტიდან. ფედერაციის სამდივნო წევრობიდან გასვლის თაობაზე განცხადების მიღების შესახებ დაუყონებლივ აცნობებს ფედერაციის პრეზიდენტს.

14. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

14.1. წესდების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევაში;

14.2. დაესწროს ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით ფედერაციის ორგანოების ღია სხდომებს;

14.3. მიმართოს ფედერაციის შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს წერილობითი განცხადებით, რომელმაც მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გაეცეს პასუხი;

14.4. ფედერაციის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ დადგენილი წესით ფედერაციის ამოცანების განსახორციელებლად ისარგებლოს ფედერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

15. ფედერაციის წევრი ვალდებულია:

15.1. დაიცვას ფედერაციის წესდება და მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის მიზნების და ამოცანების განხორციელებაში;

15.2. დაემორჩილოს ფედერაციის დისციპლინას, დაიცვას ფედერაციის მიერ დადგენილი წესები, შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხევაში) და კეთილსინდისიერად შეასრულოს ფედერაციის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები;

15.3. მოთხოვნის შესაბამისად ფედერაციის ორგანოს ჩააბაროს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

15.4. მონაწილეობა არ მიიღოს საქმიანობაში და არ გააკეთოს განცხადებები, რომელიც ეწინააღმდეგება ფედერაციის განვითარების კურსს, პოზიციას, მიზნებსა და ამოცანებს;

15.5. თავისი ქმედებით არ დაუშვას ფედერაციის დისკრედიტაცია;

15.6. ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო შენატანი;

15.7. პროფესიულ საქმიანობაში, იხელმძღვანელოს ფედერაციის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით;

15.8. არ გაახმაუროს ფედერაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია;

15.9. პოპულარიზაცია გაუწიოს ფედერაციის მიზნებსა და საქმიანობას;

15.10. საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდეს ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომებზე;

15.11. გაუფრთხილდეს ფედერაციის ქონებას და ფინანსურ სახსრებს;

15.12. ამ წესდებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფედერაციის წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შესახებ დაუყონებლივ შეატყობინოს ფედერაციის სამდივნოს და გავიდეს ფედერაციის წევრობიდან;

15.13. დაუყონებლივ აცნობოს ფედერაციის სამდივნოს ისეთი ინფორმაციის შესახებ, რომელიც შეიძლება აზიანებდეს ფედერაციის იმიჯს. ასეთის დამალვა გახდება ფედერაციის წევრობიდან გარიცხვის მიზეზი;

15.14. კეთილსინდისიერად შეასრულოს, წესდების შესაბამისად, მისთვის დაკისრებული სხვა მოვალეობანი.

16. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების უგულებელყოფისთვის ფედერაციის წევრის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინარული ზომები: წერილობითი გაფრთხილება ან ფედერაციიდან გარიცხვა. ფედერაციის წევრის დისციპლინურ დევნას ფედერაციის აღმასრულებელი ორგანოს ან მის გარეშე აწარმოებს სამდივნო. ფედერაციის სამდივნოს გადაწყვეტილება დისციპლინარული ზომის დაკისრების შესახებ წერილობით უნდა იყოს დადასტურებული, რომელიც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უნდა წარუდგინოს ფედერაციის პრეზიდიუმს შესაბამისი რეაგირების მოსახდენად. წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა, ფედერაციის პრეზიდიუმი, წევრის წერილობით ან ელექტრონული საშუალებებით მოწვევით, გადაწყვეტილებას მიიღებს მისი დასწრებით ან დაუსწრებლად დისციპლინარული ზომების დაკისრებაზე ან გარიცხვაზე.

17. ფედერაციის წევრობის შეწყვეტის საფუძველია:

17.1. ფედერაციიდან გასვლა საკუთარი განცხადების საფუძველზე;

17.2. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირის ქმედუუნაროდ ცნობა ან წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება;

17.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით, წევრი ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;

17.4. სასამართლოს გადაწყვეტილებით, წევრი ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება;

17.5. ფედერაციიდან გარიცხვა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების/ მოთხოვნების დარღვევისას;

17.6. გარდაცვალება;

17.7. სხვა გარემოების დადგომა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გამორიცხავს ფედერაციაში პირის წევრობას.

18. პირს ფედერაციის წევრობა უწყდება შესაბამისი გარემოების დადგომის მომენტიდან. ფედერაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, პირი ტოვებს ფედერაციაში დაკავებულ ნებისმიერ თანამდებობას.

19. პირის ფედერაციის წევრობიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს პრეზიდიუმი (გამგეობა). წინამდებარე წესდების დარღვევის გარდა, გარიცხვის საფუძველი შეიძლება იყოს სხვა პირების მიმართ შეუფერებელი და ამორალური საქციელი, საერთო კრების (ყრილობის) სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენა, ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში ხელის შეშლა.

20. წევრი რომელიც, ორგანიზებას უწევს სპორტული ცოცვის შემსწავლელ კურსებს ან აპირებს, რომ გახსნას ცოცვის შემსწავლელი წრე(ები), ვალდებულია მისი საშტატო და სამწვრთნელო შემადგენლობა დაარეგისტრიროს შესაბამის ორგანიზაციაში, სადაც შემუშავებული პროგრამის გავლის შემდგომ, მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი მოწმობები.

მუხლი 4. ფედერაციის სტრუქტურა

1. ფედერაციის ორგანოებია:

1) ფედერაციის ყრილობა შემდეგში „ყრილობა“;
2) ფედერაციის პრეზიდიუმი შემდეგში „გამგეობა“;
3) ფედერაციის სარევიზიო კომისია შემდეგში „კომისია“;
4) ფედერაციის პრეზიდენტი შემდეგში „პრეზიდენტი“;
5) ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი შემდეგში „საპატიო პრეზიდენტი“;
6) ფედერაციის გენერალური მდივანი შემდეგში „გენერალური მდივანი“;

7) ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი შემდეგში „ვიცე-პრეზიდენტი“;
8) ფედერაციის სამდივნო შემდეგში „სამდივნო“;
2. ფედერაციის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
1) ფედერაციის მწვრთნელთა ორგანიზაცია;
2) ფედერაციის სპორტსმენთა ორგანიზაცია;
3) ფედერაციის ახალგაზრდული ორგანიზაცია;
4) ფედერაციის ქალთა ორგანიზაცია;
5) ფედერაციის რეგიონალური ორგანიზაცია;
6) ფედერაციის მსაჯთა ორგანიზაცია;
7) ფედერაციის ბილიკების ამწყობთა ორგანიზაცია;
8) ფედერაციის საცოცი კედლების მშენებლების ორგანიზაცია;
3. ფედერაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებას ამტკიცებს გამგეობა, კომისიის წარდგინებით, შესაბამისი ორგანიზაციის კონფერენციაზე. სტრუქტურული ქვედანაყოფები ვალდებულნი არიან შეასრულონ ფედერაციის ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილებების ფარგლებში მიცემული დავალებები.
4. ფედერაციის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სამდივნო;

მუხლი 5. ყრილობა

1. ყრილობა არის ფედერაციის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანო.
2. ფედერაციის რიგით საარჩევნო ყრილობას ფედერაციის პრეზიდენტის ბოლო არჩევნების ჩატარებიდან 4 წლის თავზე 45 დღით ადრე იწვევს პრეზიდენტი, პრეზიდენტის დავალებით ვიცე-პრეზიდენტი ან გამგეობა წევრთა არა ნაკლებ ერთი მესამედის წერილობით მოთხოვნით (ამგვარის შეუძლებლობის შემთხვევაში საპატიო პრეზიდენტი).
3. ფედერაციის რიგით საანგარიშო ყრილობას ყოველწლიურად კალენდარული წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე იწვევს პრეზიდენტი, პრეზიდენტის დავალებით ვიცე-პრეზიდენტი ან ფედერაციის გამგეობა წევრთა არა ნაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით (ამგვარის შეუძლებლობის შემთხვევაში საპატიო პრეზიდენტი).
4. ფედერაციიის რიგგარეშე ყრილობას პარტნიორებისთვის მოსაწვევების გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ იწვევს პრეზიდენტი, პრეზიდენტის დავალებით ვიცე-პრეზიდენტი ან ფედერაციის გამგეობა წევრთა არა ნაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით (ამგვარის შეუძლებლობის შემთხვევაში საპატიო პრეზიდენტი).
5. როგორც რიგგარეშე აგრეთვე რიგითი ყრილობის მოწვევის შემთხვევაში მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს ფედერაციის ვებ-გვერდზე ან წევრებს მოსაწვევი წერილობით გაეგზავნოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით. მოსაწვევის გაგზავნა შესაძლებელია დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (მათ შორის დელეგატის მიერ მიერ ფედერაციაში რეგისტრირებულ ელექტრონულ ფოსტაზე) , რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. ყრილობის მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებად მიიჩნევა ყრილობის მოწვევის თაობაზე ინფორმაციის, ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. ყრილობის მოწვევის შესახებ შეტყობინების ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ, პარტნიორისთვის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წევრი/დელეგატი დაამტკიცებს, რომ სხვა პარტნიორისთვის კრების მოწვევის თაობაზე უფრო ადრე იყო ცნობილი.
6. ყრილობის მოსაწვევში სავალდებულოა, რომ მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:
6.1. მომწვევი ორგანო;
6.2. მოწვევის თარიღი;
6.3. ყრილობის ჩატარების დრო;
6.4. ყრილობის ჩატარების ადგილი;
6.5. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები;
7. როგორც რიგგარეშე აგრეთვე რიგითი ყრილობის დღის წესრიგის საკითხები უნდა დადასტურდეს კომისიის მიერ. აუცილებლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია შეიტანოს შესაბამისი დღის წესრიგში ცვლილებები ან ყრილობის მომწვევ ორგანოს შესაბამისი რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს დღის წესრიგის შედგენაში.

8. ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის ან დამფუძნებლის წარმომადგენლის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. გამგეობის შემადგენლობის 1 წევრამდე შემცირების შემთხვევაში რაც უნდა დასტურდებოდეს კომისიის მიერ. ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა ფედერაციის გამგეობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს მე-30 დღისა.

9. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი მაინც. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა ხმების უმრავლესობით, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ყრილობა მუშაობს დღის წესრიგის შესაბამისად, რომელსაც კომისიის შემუშავებით და პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა, ამგვარის შეუძლებლობის შემთხვევაში საპატიო პრეზიდენტი;

10. საერთო კრება (ყრილობა) შედგება დელეგატებისაგან. დელეგატები ფედერაციის წევრები არიან, ამ მუხლით დადგენილი დათქმების გათვალისწინებით. ყველა დელეგატი თანასწორია, განურჩევლად იურიდიული სტატუსისა.

11. საერთო კრების (ყრილობის) დელეგატთა არანაკლებ სამ მეოთხედს ფედერაციის წევრი იურიდიული პირები უნდა წარმოადგენდნენ, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „6^1“ პუნქტის შესაბამისად.

12. ფიზიკური პირი წევრების საერთო კრების (ყრილობის) დელეგატებად არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოთ საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებსა და მათ მწვრთნელებს, ხოლო კონკურენციის შემთხვევაში კი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპორტული შედეგები.

13. საერთო კრებაში (ყრილობაში), გამგეობის მიერ დელეგატად არჩეული იურიდიული პირი წევრის სახელით მონაწილეობას იღებს მის მიერვე განსაზღვრული წარმომადგენელი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს საერთო კრებაში (ყრილობაში) მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილების დოკუმენტი, სანოტარო წესით ან ბლანკიან ფურცელზე, ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით დამოწმებული მინდობილობა.

14. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) ფედერაციის წევრის მიერ სხვა წევრისთვის ხმის უფლების დელეგირება დაუშვებელია.

15. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) კენჭისყრისას ფედერაციის ხმის უფლების მქონე ყოველ წევრს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) აქვთ თითო ხმა. დაუშვებელია, რომელიმე დელეგატის ხმისათვის უფრო მეტი წონის ან სხვა პრივილეგიის მინიჭება სხვა დელეგატებთან მიმართებაში.

16. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს თავად წესდების დამტკიცებას/ცვლილების შეტანას, ან ფედერაციის რეორგანიზაცია/ლიკვიდაციას.

17. საერთო კრება (ყრილობა) ტარდება ნოტარიუსის მონაწილეობით, რომელიც საჯარო სამართლებრივი აქტით აფორმებს კრების ოქმს.

18. ფედერაციის ყრილობაზე მოქმედი გამგეობის წევრების შემადგენლობას, გენერალურ მდივანს, ხაზინადარს, კომისიის წევრებს და სხვა აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებს არ აქვთ დელეგატის წარმომადგენლობის უფლება;

19. ყრილობა:

19.1. საპატიო პრეზიდენტის წარდგინებით წარდგინებით იღებს ფედერაციის წესდებას, შეაქვს წესდებაში ცვლილებები;

19.2. ისმენს გამგეობის (პრეზიდიუმის) ანგარიშს;

19.3. ისმენს კომისიის ანგარიშს;

19.4. დამფუძნებლის წარმომადგენლის წარდგინებით ირჩევს საპატიო პრეზიდენტს;

19.5. საპატიო პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო თუ საპატიო პრეზიდენტი კანდიდატს ვერ წარადგენს, ყრილობის დელეგატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, 4 წლის ვადით ირჩევს პრეზიდენტს დახურული კენჭისყრით;

19.6. პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო თუ პრეზიდენტი კანდიდატს ვერ წარადგენს, ყრილობის დელეგატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე, ირჩევს ვიცე-პრეზიდენტს;

19.7. პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო თუ პრეზიდენტი კანდიდატს ვერ წარადგენს, ყრილობის დელეგატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე, ირჩევს გამგეობას;

19.8. ამტკიცებს ფედერაციის ბიუჯეტს და კალენდარულ გეგმას;

19.9. იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდებით გათვალისწინებულ საკითხებზე;

19.10. ყრილობის თავჯდომარეა პრეზიდენტი, მისი არყოფნის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი ან საპატიო პრეზიდენტი;

19.11. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის და გამგეობის წევრების შრომის ანაზღაურების გაცემის და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა;

19.12. საპატიო პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო თუ საპატიო პრეზიდენტი კანდიდატს ვერ წარმოადგენს, ყრილობის დელეგატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, ირჩევს კომისიის წევრებს;

მუხლი 6. გამგეობა

1. გამგეობა არის ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო.
2. გამგეობა ხელმძღვანელობს ფედერაციის საქმიანობას ყრილობათა შორის პერიოდში.
3. გამგეობის შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ყრილობაზე არჩეული არაუმეტეს 5 წევრი. გამგეობის წევრთა რაოდენობას (არანაკლებ 2 და არაუმეტეს 7) განსაზღვრავს ყრილობა.
4. გამგეობა ირჩევა საერთო კრების (ყრილობის) მიერ არაუმეტეს 4 წლის ვადით. გამგეობის ყველა წევრის უფლებამოსილება წყდება პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.
5. ერთი და იგივე პირი გამგეობის წევრი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
6. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ისა და გამგეობის წევრებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საერთო კრების (ყრილობის) მიერ. ამასთან, შრომის ანაზღაურების დაფინანსება არ განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან ერთზე მეტი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრაზე მეტი გამგეობის წევრისათვის.
7. გამგეობის თავჯდომარეა პრეზიდენტი.
8. გამგეობის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც.
9. გამგეობის უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, გამგეობის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მისაღებად პრეზიდენტის წარდგინებით შეიძლება მოწვეულ იქნეს ფედერაციის კომისიის 2 წევრი და ფედერაციის 2 წევრი.
10. გამგეობის სხდომას იწვევს პრეზიდენტი, პრეზიდენტის დავალებით ვიცე-პრეზიდენტი ან გამგეობა, წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით, (ამგვარის შემთხვევაში გამგეობის თავჯდომარეა უხუცესი წევრი).;
11. გამგეობა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება ყრილობის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის ხმა. გამგეობა მუშაობს დღის წესრიგის შესაბამისად, რომელსაც კომისიის დამტკიცებით წარადგენს თავჯდომარე;
12. გამგეობის წევრებს დღის წესრიგი უნდა გაეგზავნოთ მინიმუმ 3 დღით ადრე, თუ გამგეობის დებულება სხვაგვარად არ მოითხოვს;
13. გამგეობის საგანგებო სხდომა შეიძლება ჩაინიშნოს პრეზიდენტის, გამგეობის წევრების უმრავლესობის, საპატიო პრეზიდენტის ან პრეზიდენტის დავალებით ვიცე-პრეზიდენტის მიერ.
14. გამგეობის საგანგებო სხდომის მოწვევის შემთხვევაში სხდომის თავჯდომარეა მომწვევი პირი ან დამსწრე გამგეობის უხუცესი წევრი.
15. გამგეობის სხდომის დამთავრების შემდეგ დგება, სხდომის ოქმი;
16. გამგეობა:

16.1. უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

16.2. იღებს გადაწყვეტილებას პირის ფედერაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ;

16.3. ამზადებს წესდების პროექტს, წინადადებებს წესდებაში ცვლილებების დამატების შეტანის თაობაზე და წარუდგენს კომისიას. კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინება სავალდებულოა;

16.4. ამტკიცებს ფედერაციის სტრატეგიულ და პროგრამულ დოკუმენტებს;

16.5. ამზადებს ფედერაციის ბიუჯეტს და კალენდარულ გეგმას;

16.6. იღებს გადაწყვეტილებებს ფედერაციის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვის თაობაზე;

16.7. ყრილობის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე ყრილობას უზგავნის ინფორმაციას პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, გამგეობის და კომისიის წევრების კანდიდატურებზე;

16.8. საქართველოს რეგიონებში აფუძნებს რეგიონალურ ფედერაციებს;

16.9. პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს რეგიონალური ფედერაციების ხელმძღვანელებს;

16.10. გენერალური მდივნის, ხაზინადარის და ფედერაციის სხვა ქვედანაყოფების ხელფასების ოდენობას ამტკიცებს გამგეობა;

16.11. პრეზიდენტის ან მისი დავალებით ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით პრეზიდიუმის შემადგენლობიდან თანამდებობაზე ირჩევს და პრეზიდენტის ან მისი დავალებით ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს ფედერაციის გენერალურ მდივანს, ხაზინადარს, ნაკრების მთავარ მწვრთნელს.

მუხლი 7. კომისია

1. კომისია არის ფედერაციის მაკონტროლებელი ორგანო.
2. კომისია შედგება მინიმუმ 2 წევრისგან, კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფედერაციის სხვა ორგანოს წევრი. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება ყრილობის მიერ კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევისას, ფედერაციის წევრობის შეწყვეტიდან ან გადადგომის მომენტიდან.
3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს, იურიდიული ან ფიზიკური პირი.
4. კომისიას ხელმძღვანელობს თავჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან წევრთა ხმების უმრავლესობით ირჩევს კომისია.
5. სხდომას იწვევს კომისიის თავჯდომარე, კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავჯდომარის ხმა.
6. კომისია უფლებამოსილია:

6.1. ფედერაციის შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

6.2. განახორციელოს ფედერაციის საფინანსო, საბუღალტრო, შრომითი უსაფრთხოების და წესდებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საქმიანობების რევიზია და საკუთარი დასკვნები წარუდგინოს ყრილობას და გამგეობას;

6.3. კომისიის წევრების ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ყრილობა;

მუხლი 8. პრეზიდენტი

1. პრეზიდენტი არის ფედერაციის უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.
2. პრეზიდენტს ირჩევს ყრილობა ფარული კენჭისყრით, არაუმეტეს 4 წლის ვადით.
3. ერთი და იგივე პირი ფედერაციის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედიზედ ორჯერ.
4. პრეზიდენტი თანამდებობრივად შედის გამგეობის შემადგენლობაში, არის გამგეობის თავჯდომარე და წარმართავს მის მუშაობას.
5. პრეზიდენტი:

5.1. ხელმძღვანელობს ფედერაციას;

5.2. საერთო ხელმძღვანელობას უწევს ფედერაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას;

5.3. არის ფედერაციის ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ერთპიროვნულად წარმოადგენს ფედერაციას და გამგეობას შიდაორგანიზაციულ და მესამე პირებთან ურთიერთობაში, გამოდის განცხადებებით ფედერაციის სახელით;

5.4. წარმართავს გამგეობის სხდომებს;

5.5. გამოსცემს ბრძანებებს;

5.6. გამგეობას ასარჩევად წარუდგენს გენერალურ მდივანს, ხაზინადარს, ფედერაციის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატურებს. გამგეობას მიმართავს: გენერალური მდივნის, ხაზინადარის, ფედერაციის ნაკრების მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების წინადადებით;

5.7. გამგეობას ყრილობაზე წარსადგენად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას. გამგეობას მიმართავს ვიცე-პრეზიდენტის გათავისუფლების წინადადებით.

5.8. ასრულებს საქართველოს კანონმდებლობისა და ფედერაციის წესდების შესაბამისად განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

5.9. ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შესაბამის გონივრულ ვადაში, მაგრამ აღნიშნული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ფედერაციის პრეზიდენტი/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ან გამგეობა ვალდებულია, მოიწვიოს საერთო კრება (ყრილობა) და აირჩიოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ფედერაციის წესდებით საერთო კრების (ყრილობის) მოწვევისა და ჩატარებისთვის გათვალისწინებულ ვადებში და იმ პირობის დაცვით, რომ საერთო კრებამდე (ყრილობამდე) მოქმედი პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვისთანავე, ახლად არჩეული პრეზიდენტი შეუდგება უფლებამოსილებების განხორციელებას;

5.10. პრეზიდენტს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილების ვადის გასვლის, გადადგომის ან გადაყენების მომენტიდან. პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის/გადაყენების, ან სხვა რაიმე მიზეზით უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფედერაციის საერთო კრების (ყრილობის) მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პერიოდში, წესდებაში პირდაპირი მითითების საფუძველზე, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას (შემდგომ მითითებული რიგითობით) ასრულებს: ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან გენერალური მდივანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ფედერაციის გამგეობის უხუცესი წევრი. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს ამ პუნქტში მითითებული რიგითობით მომდევნო სხვა პირი, ამ პუნქტის მე-11 ქვეპუნქტში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით;

5.11. ამ პუნქტის მე-10 ქვეპუნქტში მითითებული პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს 3 თვის ვადით. მოცემული ვადა, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვით. დაუშვებელია, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდეს ჯამურად 6 თვეზე მეტი ვადით. ამასთან, მოცემული დანაწესი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ამ პუნქტის მე-10 ქვეპუნქტში მითითებული გარემოება დგება იმ პერიოდში, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი იყო 6 თვეზე მეტი ვადა. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები პერიოდი, ამ პუნქტის მე-10 ქვეპუნქტში მითითებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს არა უმეტეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი ვადით;

5.12. ამ პუნქტის მე-10 ქვეპუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს ამ პუნქტის მე-9 ქვეპუნქტით დადგენილი წესით და მე-11 ქვეპუნქტში მითითებული ვადების დაცვით;

5.13. თუ ამ პუნქტის მე-9, მე-10 და მე-11 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხდება საერთო კრების (ყრილობის) ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, მასთან ერთად უფლებამოსილება უწყდებათ ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს, გენერალურ მდივანსა და გამგეობას. მოცემულ შემთხვევაში, ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს

რიგგარეშე საერთო კრებას (ყრილობას), რომელიც უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

5.14. ამ პუნქტის მე-13 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე საერთო კრების (ყრილობის) მომწვევი ფედერაციის წევრები (მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%) ქმნიან საინიციატივო ჯგუფს (არაუმეტეს 5 პირის შემადგენლობით), რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების (ყრილობის) ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას;

5.15. ფედერაციის ხელმძღვანელების (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და გენერალური მდივანი) უფლებამოსილების „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეჩერებისას, ფედერაციის გამგეობა ან ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე (საგანგებო) საერთო კრებას (ყრილობას), რომელიც უნდა ჩატარდეს ფედერაციის ხელმძღვანელების უფლებამოსილების შეჩერებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

5.16. თუ ამ პუნქტის მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადებში, ვერ განხორციელდება ამავე პუნქტებით განსაზღვრული საერთო კრების (ყრილობის) ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, იწყება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები, ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესის განსახორციელებლად;

5.17. სამინისტროს მოთხოვნისამებრ, ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია ფედერაციის საშტატო ნუსხის, სახელფასო ფონდის, გასაწევი ხარჯებისა (მაგ.: საკომუნიკაციო, საწვავის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ.) და დაფინანსების სხვა ალტერნატიული წყაროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

5.18. პრეზიდენტი არ არის ყრილობის დელეგატი წევრი ან მისი წარმომადგენელი.

მუხლი 9. საპატიო პრეზიდენტი

1. საპატიო პრეზიდენტად ყრილობამ შეიძლება აირჩიოს პირი, რომელსაც მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება ქვეყნის და ფედერაციის წინაშე;

2. საპატიო პრეზიდენტის წარდგენის უფლება აქვს ფედერაციის დამფუძნებლებს, ან მათ წარმომადგენლებს;

3. საპატიო პრეზიდენტი არის ფედერაციის მთავარი მრჩეველი;

4. საპატიო პრეზიდენტი ყრილობას ასარჩევად წარუდგენს, კომისიის მიერ დადასტურებულ, პრეზიდენტის კანდიდატ(ებ)ს;

5. საპატიო პრეზიდენტი ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგენს, კომისიის მიერ დადასტურებულ, წესდების ახალ რედაქციას;

6. საპატიო პრეზიდენტი ყრილობას ასარჩევად წარუდგენს კომისიის წევრებს;

7. საპატიო პრეზიდენტს ხმის უფლების გარეშე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყრილობის მუშაობაში და ჩაერთოს დებატებში;

მუხლი 10. გენერალური მდივანი

1. გამგეობის და პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს გენერალური მდივანი.

2. გენერალური მდივანი:

2.1. ხელმძღვანელობს ფედერაციის სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტების განხორციელებას;

2.2. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

2.3. საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით განკარგავს ფედერაციის ფულად სახსრებს და ქონებას;

2.4. წარმართავს სამდივნოს და ცენტრალური აპარატის საქმიანობას, გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიასთან ერთად შემუშავებულ სამდივნოს და ცენტრალური აპარატის დებულებებს;

2.5. პრეზიდენტთან შეთანხმებით გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კონფერენციაზე ასარჩევ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის კანდიდატებს;

2.6. ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს, ხელს აწერს შრომით ხელშეკრულებებს;

2.7. გამგეობის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამდივნოს თანამშრომლებს (გარდა ხაზინადარისა)

2.8. პრეზიდენტის თანხმობით ახორციელებს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე მისი ცალკეული უფლებამოსილების დელეგირებას;

2.9. ასრულებს, საქართველოს კანონმდებლობისა და ფედერაციის წესდების შესაბამისად, გამგეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

3. ცენტრალური აპარატი:

3.1. უზრუნველყოფს ფედერაციის სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტაციებისა და სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელებას;

3.2. უზრუნველყოფს ფედერაციის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას;

3.3. შეიმუშავებს გამგეობის გადაწყვეტილებების, პრეზიდენტის, გენერალური მდივნისა და ვიცე-პრეზიდენტის ბრძანებების პროექტებს;

3.4. გეგმავს და ორგანიზებას უწევს ფედერაციის ღონისძიებებს;

3.5. უზრუნველყოფს ფედერაციაში საქმის წარმოებასა და დოკუმენტ-ბრუნვას, აწარმოებს ფედერაციის წევრთა ერთიან რეესტრს;

3.6. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ წესდების, ცენტრალური აპარატის დებულებისა და გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

4. გენერალური მდივანი ანგარიშვალდებულია გამგეობისა და პრეზიდენტის წინაშე.

5. გენერალური მდივანი (ადმინისტრაციული საქმიანობის ხელმძღვანელი პირი) აირჩევა საერთო კრების ან გამგეობის მიერ, პრეზიდენტის წარდგინებით, არაუმეტეს 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი გენერალური მდივანი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. გენერალური მდივნის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

მუხლი 11. ვიცე-პრეზიდენტი

1. ვიცე-პრეზიდენტი ახორციელებს პრეზიდენტის მიერ მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს;

2. ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი აირჩევა საერთო კრების მიერ, პრეზიდენტის წარდგინებით, არაუმეტეს 4 წლის ვადით;

3. ერთი და იგივე პირი ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

4. ვიცე-პრეზიდენტი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ბრძანებებს;

5. ვიცე-პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია გამგეობისა და პრეზიდენტის წინაშე;

6. ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე;

7. ვიცე-პრეზიდენტის ხელფასის ოდენობას ამტკიცებს გამგეობა.

მუხლი 12. ხაზინადარი

1. ხაზინადარს (ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელი პირი) ირჩევს გამგეობა ან ყრილობა, ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით არაუმეტეს 4 წლის ვადით;

2. ხაზინადარი ახორციელებს გენერალური მდივნის მიერ მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს;

3. ერთი და იგივე პირი ხაზინადარი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

4. ხაზინადარი ანგარიშვალდებულია გენერალური მდივნის, გამგეობის და პრეზიდენტის წინაშე;

5. ხაზინადარის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე;

6. ხაზინადარის ხელფასის ოდენობას ამტკიცებს გამგეობა.

მუხლი 13. სამდივნო

1. სამდივნო შედგება გენერალური მდივნისა და მის მიერ დანიშნული თანამშრომლებისაგან;
2. სამდივნო, წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად, ამზადებს წევრობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციებს და წარუდგენს გამგეობას დასამტკიცებლად;
3. სამდივნოს საქმიანობის წესი განსაზღვრულია სამდივნოს დებულებით, რომელსაც გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

მუხლი 14. ფინანსები და ქონება

1. ფედერაციის ქონებას შეადგენს მისი ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, სხვა სახის ფასეულობები, რომლებიც საჭიროა ფედერაციის წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად;
2. ფედერაცია თავისი წევრისგან (წევრებისგან) დამოუკიდებელია, მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით. ფედერაციის ვალდებულებებისთვის მისი დამფუძნებლები, წევრები, ხელმძღვანელები და წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ;
3. ფედერაციის ქონების შექმნის წყაროებია: საწევრო შენატანები, შემოწირულობები, სპონსორების შენატანები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;
4. ფედერაციას საკუთრებაში აქვს, ფედერაციის წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო, უძრავი და მოძრავი ქონება. ფედერაციის ქონების განკარგვა დასაშვებია მხოლოდ წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 15. ფედერაციის სიმბოლოები

1. ფედერაციას აქვს ლოგო და დროშა.
2. ფედერაციის ლოგოზე გამოსახულია ოთხკუთხედი ფიგურები და მცოცის სილუეტი.
3. ფედერაციის დროშა არის მართკუთხა, რომელზეც ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ფედერაციის ლოგო.
4. ფედერაციას აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკი.
5. ფედერაციას აქვს მელნიანი (ლურჯი) და ტვიფრიანი (უფერო) ბეჭედი, რომელიც არის მრგვალი ფორმის. მის ცენტრში გამოსახულია ფედერაციის ლოგო, ხოლო ირგვლივ, წრიულად, ორ რიგად, დატანილია ფედერაციის სრული სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი.
6. ფედერაციის შტამპი არის მართკუთხედი ფორმის. მის მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახულია ფედერაციის ლოგო, რომლის გასწვრივ დატანილია ფედერაციის სრული სახელწოდება. მათ ქვემოთ განთავსებულია სიტყვები: „სარეგისტრაციო ნომერი N“, „ფურცელთა რაოდენობა“, „მიღების თარიღი“, „დრო“, „ხელმოწერა“, „გვარი“. თითოეული მათგანის გასწვრივ გავლებულია სწორი ხაზი. შტამპის ქვედა ნაწილში მითითებულია ფედერაციის იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ოფიციალური ვებგვერდის მისამართი.
7. ფედერაციას აქვს ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ბლანკები -A4 ტიპის საოფისე ქაღალდი, რომლის შუა ზედა ნაწილში გამოსახულია ფედერაციის ლოგო, ხოლო ლოგოს გასწვრივ, მარჯვენა მხარეს, მითითებულია ფედერაციის სრული სახელი ქართულად ა.(ა).ი.პ. „ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაცია“, ტექსტის ქვევით მითითებულია ფედერაციის რეკვიზიტები.
8. ფედერაციის სიმბოლიკის გამოყენების წესს ადგენს გამგეობა.

მუხლი 16. ფედერაციის წესდების გადასინჯვა

1. მხოლოდ ყრილობაა უფლებამოსილი მიიღოს წესდება და შეიტანოს მასში ცვლილებები;
2. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებას სჭირდება ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა 75%-ის თანხმობა;

მუხლი 17. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

2. ორგანიზაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცის შესახებ გადაწყვეტილებას დამსწრე დელეგატთა შემადგენლობის სულ მცირე ¾-ის უმრავლესობით, იღებს ყრილობა.

3. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა.

4. გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

5. ფედერაციის რეორგანიზაცია ან გარდაქმნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ფედერაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს კანონმდებლობის და ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

7. ფედერაციის ლიკვიდაციის საკითხი დგება შემდეგ შემთხვევებში:

7.1. ფედერაციის ყრილობის გადაწყვეტილებით;

7.2. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8. ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია დასრულებულად ითვლება მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

1. ეს წესდება ძალაში შედის ყრილობის მიერ მიღებისთანავე.

2. თუ მოცემული წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. წესდების ცვლილება ან მისი შემდგომი რედაქცია ძალაში შედის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

4. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

5. ამ წესდების ნებისმიერ უცხოურ ენაზე ნათარგმნ ვერსიასა და ქართულ ვერსიას შორის უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.